

სამყაროს დასასრული პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში

ანი სიხარულიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

ამ ნაშრომში განხილულია, როგორ გამძაფრდა მოდერნისტულ ეპოქაში გამოცხადებული ღირებულებათა კრახი მომდევნო ეპოქაში. პოსტმოდერნისტულ ხანაში ტექნოლოგიურმა კულტმა კაცობრიობა იმედგაცრუებისგან ვერ იხსნა. არნახული ინდუსტრიული და მეცნიერული განვითარების პირობებში, ადამიანის როლი უკიდურესად გაუფასურდა. ინდივიდის პასიური მდგომარეობა მისი ცხოვრების თითოეულ ასპექტში მმართველი რეჟიმისა და დომინანტი ეკონომიკური სისტემის ჩარევამ განაპირობა. კაპიტალიზმის ყოვლისმომცველი ძალაუფლების წინაშე მარცხის აღიარებამ და მოსალოდნელი კატასტროფისაგან შექმნილმა განგაშის განცდამ ამ პერიოდის ლიტერატურაში გააჩინა სამყაროს განადგურების მოტივები. პოსტმოდერნისტი ავტორები სიმბოლურად მიანიშნებენ მკითხველს ისტორიის დასასრულზე. კაცობრიობა საკუთარ აგებულ კომფორტულ ციხესიმაგრეებში აღმოჩნდა გამოკეტილი და მათგან თავის დახსნა მხოლოდ ბაბილონის ხელახალი განადგურებით შეძლებს. ისინი ერთადერთ გამოსავალ ფენიქსის მსგავს განადგურებაში ხედავენ, რომელიც უნდა გახდეს განახლების წინაპირობა. ბუნებასთან დაბრუნება და საკუთარი როლის მნიშვნელობის გაცნობიერება ადამიანის არსებობას მნიშვნელობას დაუბრუნებს. ამ გზით შეივსება ის ღირებულებათა ვაკუუმი, რომელიც გააჩინა ფასეულობათა ცენტრის დაკარგვამ.

საკვანძო სიტყვები: პოსტმოდერნიზმი; ღირებულებათა კრიზისი; კაპიტალისტური სისტემა; სამყაროს დასასრული; აპოკალიფსი; კარნავალიზაცია; კომედია და სიცილის ფენომენი; ახალი დისკურსის შექმნა; განახლების მოტივი.

Abstract

The collapse of the values declared in the modernist era was further deteriorated in the subsequent epoch of results. In postmodern times mankind can not be saved by technological culture from frustration. In the presence of an enormous industrial and scientific development, the role of a human has been extremely impaired. Individual's passive condition was caused by the interference of the ruling regime and the dominant economic system in every aspect of the individual's life. Recognition of failure towards the comprehensive power of capitalism and the alarm created by the expectation of anticipated catastrophe in the literature of this period has created the motives for the destruction of the universe. Postmodernist authors symbolically point to the end of history for the reader's attention. Humanity has been trapped in its own comfortable fortresses, and it is only possible to escape by rebuilding Babylon. They see their salvation in a phoenix-like destruction, which will become a prerequisite for a renewal. Returning to Nature and understanding the importance of their role will return the meaning to humans' existence. This way the value vacuum will fill up which was created by losing the importance center.

Keywords: Postmodernism; Crisis of values; Capitalist system; End of the world; Apocalypse; Carnivalization; Comedy and laughter phenomenon; Creating a new discourse; Motive for renewal.